

ქალი გვასალია



„თსუ“-ს რაგბი

50 წლისაა



გამომცემლობა
„ს.გ.მ.კ.“

7A8.9

75.575

8.016

რეცენზირები: სპორტის ოსტატი, პროფესორი კახა ბილაშვილი

ISBN 978-9941-0-4864-7

© ლ. გვასალია, 2012

ათიოდე წელი გვაშორებს იმ დღეს, როცა მთელი „ოვალური სამყარო“ რაგბის დაბადებიდან 200 წელს იზეიმებს.

ამ ზეიმში ჩვენ – ქართველებიც აქტიურად ჩავერთვებით. მითუმეტეს, რომ რაგბის წინამორბედ სპორტულ თამაშს – „ლელოს“ ჩვენში თითქმის ათსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ნიშანდობლივია ისიც, რომ მსოფლიო რაგბის სამყარო ქართულ რაგბის „ჯორჯიენ ლელოს“ სახელით მოიხსენიებს.

ქართული რაგბის 50 წლისთავი ღირსეულად ვიზეიმეთ. ახლა კი მორიგი იუბილე გვაქვს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრებს (“თსუ”) ნახევარი საუკუნე შეუსრულდა. ამ 50 წლის განმავლობაში მრავალი ღირსეული სპორტსმენი წარმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში, რომლებიც ქართული რაგბის ისტორიის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

საქართველოში რაგბის დანერგვასა და განვითარებას სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის მოყვარულები ქართული რაგბის „პატრიარქს“ – ბატონ გივი მრელაშვილს უნდა უმადლოდნენ. ეს დიდებული პირვნება არა მარტო ქართული, არამედ მთელი „საბჭოთა იმპერიის“ რაგბის ფუძემდებლადაც ითვლება.

ბატონმა გივი მრელაშვილმა გასული საუკუნის სამოციანი წლების ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში მოახერხა იმისთვის მიეღწია, რომ მთელ საბჭოთა კავშირში პირველი ოფიციალური სარაგბო ორგანიზაცია



გ. მრელაშვილი

სწორედ თბილისში დაფუძნებულიყო. ამ ორგანიზაციას ეწოდებოდა თბილისის რაგბის სექცია და თბილისის სპორტკომიტეტის დაქვემდებარებაში შედიოდა.

ეს მოხდა 1962 წლის გაზაფხულზე. ცოტა ხანში თბილისის რაგბის სექცია – რაგბის ფედერაციად გადაკეთდა. მის პირველ თავმჯდომარედ სამართლიანად აირჩიეს რაგბის მოამაგე ბატონი გივი მრელაშვილი. პირველი სარაგბო გუნდი მაშინ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნა. სწორედ ამ გუნდში, რომელსაც სახელად ეწოდა „გეპეი“, შეიკრიბნენ ჩვენი ეროვნული რაგბის ლეგენდები: ზაურ მგელაძე, ნოდარ ყიფიანი, გიორგი ჩეჩელაშვილი, მიხეილ კვინიხიძე, რევაზ მესხი, ტარიელ ნებიერიძე, დიმიტრი ოსეფაიშვილი... სამწუხაროდ, ამ სპორტსმენებიდან დღეს ცოცხალი არავინაა.


ამ გუნდში თამაშობდნენ და დღესაც რაგბიზე ზრუნავენ ბატონი გოგი ტონია და ჯემალ ბერაძე.

იმავე წელს მეორე გუნდიც შეიქმნა. ეს იყო თბილისის საავიაციო ქარხნის ნაკრები – „ისანი“. სხვათაშორის, ამ გუნდს პერსონალური თვითმფრინავიც ემსახურებოდა, რომლითაც მთელ საბჭოეთში მოგზაურობდნენ და ერთხელ უკრაინის ჩემპიონებიც კი გახდნენ.

ამ გუნდის ბირთვი ინტერნაციონალური იყო, – აქ ასპარეზობდნენ: ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა

ეროვნების სპორტსმენები, მაგრამ გუნდის ლიდერები მაინც ქართველები იყვნენ: კაკო ქუსიკაშვილი, სერგო ხაჭაპურიძე, შურა გოგლიძე და სხვები.

ამ პერიოდისაა თბილისელთა მესამე გუნდი, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შეიქმნა (შემოკლებით „ესხაის“ რომ უწოდებდნენ). ამ გუნდმაც დიდებული მორაგბეები მისცა საქართველოს.




ა. ქუსიკაშვილი

ესენი იყვნენ: გუნდის კაპიტანი გიორგი წურწუმია, ქართული რაგბის დიდი მოამაგე გიორგი ყუფარაძე, განუმეორებელი გამ-თამაშებელი ნოდარ ქაჯაია, კოლორიტი ამირან ლობჟანიძე, უსწრაფესი მორაგბეები: რაუიკო ენუქიძე, ვალერი კორნეევი, ბრწყინვალე „ჩამკეტი“ გოგი კალატოზიშვილი (დღეს იგი აკა-დემიკოსია), მურად თოფურიძე, ვიტალი სისაური, სიმონ გო-გლიძე, კარლო კომლაძე, ოთარ ელოშვილი, უორა კიკვაძე, რო-ლანდ კაპანაძე, ალექსო ოჩიგავა და სხვები. სამწუხაროდ, ამ ბიჭებიდან ნახევარი ზეციდან დაგვცექერის.

ჩამოთვლილი სამივე გუნდის ჩამოყალიბებასა და ხელმძღვანელობას ბატონ გივი მრელაშვილს უნდა ვუმადლოდეთ. უნდა ითქვას, რომ მას დახმარებას უწევდა იმხანად საფრანგეთიდან საქართველოში რეპატრიირებული, თავისი ძირითადი პროფესიით თერძი – უაკ (აკოვ) ასპექტით, რომელიც მარსელის გუნდის გამთამაშებელი იყო.

1962 წლის შემოდგომაზე, ზემოთ ხსენებულ სამ გუნდს შეემატა მეოთხე გუნდიც. სწორედ ეს გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრები (შემოკლებით – „თსუ“). იმ წელს, უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე (მისალები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ) ჩაირიცხა კაკოქუსიკაშვილი. როგორც აღინიშნა, კაკო „ისანის“ მორაგბეთა გუნდში უკვე გამოდიოდა და გამთამაშებლის რთულ ფუნქციას ასრულებდა.

პირველკურსელი კაკო უნივერსიტეტში რაგბის სექციის გახსნას შეეცადა. ამ განზრახვით იგი შევიდა თსუ-ს ფიზკულ-ტურისა და სპორტის კათედრის გამგესთან, სპორტის დამსახურებულ მოლგანესთან, ბატონ კოტე ზაუტაშვილთან. მას რაგბის მიმართ მაინც დამაინც დიდი ინტერესი არ გამოუჩენია (თვითონ აღიარებული ძალოსანი იყო სიჭაბუკეში), მაგრამ უარიც არ უთქვაშს. სამაგიეროდ, კაკოს ამ მონდომებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა თბილისის რაგბის სექციის თავმჯდომარე, ბატონი გივი




გ. აფაექიძე

მრელაშვილი. სექციისა და თბილისის სპორტ-კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ეთხოვა უნივერსიტეტის მორაგბეთა სექციის ჩამოყალიბება. თანხმობაც მიღწეულ იქნა.

პირველ მწვრთნელს – კაკო ქუსიკაშვილს ხელფასიც კი დაუნიშნეს (რაგბის მწვრთნელებიდან მეორე გოგი ტონია იყო, რომელსაც ხელფასი დაუნიშნა, ოღონდ „ლოკომოტივის“ მიერ).

იმ დროს, უნივერსიტეტში გამოკრულ პლაკატებში იუნივერდნენ, რომ იქმნებოდა სპორტის ახალი სახეობის – რაგბის სექცია და ინვევდნენ მსურველებს.

თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტის (III კორპუსი) მომცრო აუდიტორიაში თავი მოიყარეს სპორტის „ამ ახალი ხილის“ დამგემოვნებლებმა. ესენი იყვნენ: გუძა აფაექიძე, – სახელგანთქმული აკადემიკოსის – ანდრია აფაექიძის ვაჟი, დავით ჩუბინიშვილი, შემდგომში ცნობილი მორაგბე, დავით თაქთაქიშვილი, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრების ნახევარზე მეტი რაგბის მიუძღვნა (დანარჩენი კი ფილოსოფიას), თემურ და ნოდარ რჩეულიშვილები, – ცნობილი მწერლის გურამ რჩეულიშვილის სახლიკაცები, გია ბურჯანაძე, – მოგვიანებით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩეველი (სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარ არის), რობერტ ნავერიანი, უძლიერესი ათლეტი, რომელსაც მკლავის გადაწევაში ბადალი არ ჰყავდა, სარიდან შალიკაშვილი, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტიდან მოვიდა „თსუ“-ში რაგბის სათამაშოდ (შემდგომში ცნობილი ექიმი)...



დ. თაქთაქიშვილი

მოკლედ, მორაგბეთა პირველ თავყრილობას საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა მოაწყ-

და. გივი მრელაშვილმა ორსაათიანი ლექცია წაიკითხა რაგბის ისტორიისა და ამ სპორტის ავ-კარგიანობის შესახებ, რამაც ბიჭების დიდი დაინტერესება გამოიწვია. უკლებლივ ყველა ჩაეწერა სექციაში. ბატონმა გივიმ მათ მწვრთნელად კაკო ქუსიკაშვილი წარუდგინა. იქვე აირჩიეს გუნდის კაპიტანი – გუძა აფაქიძე.

გუნდი ვარჯიშობდა ვაკეში, სტუდენტა-ლაქის მშვენიერ სტადიონზე. „თსუ“-ს გუნდში მოთამაშეთა მსურველებს კი ბოლო არ უჩანდა, – გუნდში სხვა გუნდებიდან გადმოვიდნენ: არდალიონ წურწუმია, რაჟიკო კორძაია.

ამ ნაკრებში ჩაირიცხა გურამ თოდუაც, მეტსახელად „ჩორტიკა“ (იმ ხანად თბილისის კინოთეატრებში მულტფილმი გადიოდა – „სამყაროს შექმნა“, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟი „სიმპათიური“ ეშმაკი იყო და გურამს ძალიან ჩამოგავდა, ამიტომაც შეარქვეს მას „ჩორტიკა“). გუნდს შემოემატა ორი კახა: ბილაშვილი (დღეს ცნობილი პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი) და ალადაშვილი; გუნდში მოვიდა სომეხი ათლეტი ხაჩიკ ტომასიანიც (შემდგომში იგი ქ. სოჭში გადავიდა საცხოვრებლად და რაგბის დიდი უნივერმალის დირექტორობა არჩია); ნაკრების წევრი გახდა თემურ ლომინაძე – შემდგომში ქართული არმიის პოლკოვნიკი; თავდასხმაში თამაშობდა ურნალისტი გივი ტიტვინიძეც (სამწუხაროდ, მანაც ნაადრევად დატოვა ეს წუთისოფელი); უნივერსიტეტის გუნდის განუმეორებელი მშვენება კი – დავით დავითაია იყო. ეს ბიჭი უროს ტყიორცნაში საბჭოთა კავშირის პირ-



ს. მელიქიშვილი



ი. ჯალალიშვილი



ლ. ქავთარაძე

ველობის მრავალგზის გამარჯვებული გახლდათ, ფიზიკურადაც – ნამდვილი ათლეტი. იგი დათო თაქტაქიშვილის თანაკურსელი იყო და მას ხშირად დაყვებოდა სტადიონზე, ბოლოს რაგბი ისე შეიყვარა, რომ მძლეოსნობას ზურგი შეაქცია და მთლიანად რაგბიში გადაეშვა. იგი მაღლე მთელ საბჭოთა კავშირში საუკეთესო თავდამსხმელად სახელდებოდა და ამიტომაც საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდმა – სამხედრო-საპარავო აკადემიამ („BBA“) თავისთან მიიწვია სათამაშოდ. იქ იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და „სპორტის ოსტატის“ წოდებაც დაიმსახურა (ქართველ მორაგბეებში დათო დავითაია პირველი სპორტის ოსტატია). აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ დიდებული მწვრთნელი გახდა, ჯერ უნივერსიტეტში, შემდეგ კი „ივერიაში“ (ყოფილი „დინამო“) და მრავალი ცნობილი მორაგბე აღზარდა. სამწუხაროდ, ეს ბრწყინვალე პიროვნება ნაადრევად, ქრისტეს ასაკში წავიდა ჩვენგან (ექიმების დაუდევრობით).

ჩამოთვლილი ბიჭების გვერდით წარმატებით ასპარეზობდნენ საშუალო სკოლის უფროსკლასელებიც. ესენი იყვნენ: თენგიზ რუხაძე (შემდგომში მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უსწრაფესი გარემარბი, კარში ჯარიმების დიდებული შემსრულებელი და „არეკნების“ დიდოსტატი). მის მეტ 75 მეტრიდან გატანილი ბურთი დღესაც განუმეორებელია); ენვერ ფირცხალაიშვილი, ირაკლი გელოვანი და ირაკლი ჯალალიშვილი. ყოველმა მათგანმა თავისი კვალი დატოვა ქართულ რაგბიში. ნაკრების თავდასხმაში გამორჩეული პირველხაზელი გახლდათ გიზო კორძაძე, შემდგომში ცნობილი პოლიტიკოსი, წარმატე-




გ. ჭაგარეიშვილი

ბული პარლამენტარი ჯერ ზვიად გამსახურდიას „მრგვალ მაგიდაში“, შემდეგ ედუარდ შევარდნაძის პარლამეტშიც (რა თქმა უნდა, ოპოზიციონერის რანგში).

ამ ჩამოთვლილი სპორტსმენებისა-გან შეკრულ გუნდს შესაშური წარმატებით წვრთნიდა კაკო ქუსიკაშვილი, იგი თავადაც ბრნენინვალედ ასპარეზობდა. საქმე უფრო კარგად რომ წასულიყო, გუნდში მეორე მწვრთნელი სანდრო მელითაური მოავლინეს. ამ პიროვნებასაც თავისი, გამორჩეული ხე-დვა ჰქონდა და გუნდის წარმატებებშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სანდრო მწვრთნელობის გარდა, ცნობილი მსაჯიც იყო. ხელმძღვანელობდა რაგბის ფედერაციის მსაჯთა კოლე-გიას, თუმცა „თსუ“-ს მიმართ მიკერძოება არასოდეს გამოუჩე-ნია, პირიქით, როცა საჭირო იყო, სიმკაცრითაც გამოირჩეოდა თავისიანების მიმართ.

უნივერსიტეტის ნაკრებს ყოველთვის ღირსეული ცვლა ავსებდა. გამორჩეული მორაგბე გახლდათ ფსიქოლოგიის სპე-ციალობის ფრიადოსანი სტუდენტი კუკური სამხარაძე. ის ცენ-ტრალური თავდამსხმელი იყო და მაყურებელი ყოველთვის აღტაცებაში მოყავდა. დიდ სისწრაფესთან ერთად, ძალისმიერ ილეთებსაც ოსტატუ-რად იყენებდა. დღეს კუკური თავის ოჯახ-თან ერთად შეერთებულ შტატებში ცხოვ-რობს და თავის უნივერსიტეტელ მეგობრებს არასოდეს ივიწყებს; იქიდან მათ ჯეროვან ყურადღებას აქცევს.

უცხოეთში, კერძოდ ახალ ზელანდიაში მოღვაწეობს აგრეთვე უნივერსიტეტელთა განთქმული გარემარბი ლევან ქავთარაძე.



ზ. გიგებაშვილი



პ. კოლუაშვილი



დ. დავითაძე

არანაკლები თავდამსხმელი იყო მისი უფროსი ძმა არჩილიც. ეს ბიჭები ცნობილი ქართველი მეცნიერის, უნივერსიტეტის პროფესორ კიტა ქავთარაძისა და მისი უსათნოესი მეუღლის – ქალბატონ რუსუდანის შვილები არიან.

ნაკრების გამორჩეული გამთამაშებელი იყო გოგი ცენტერაძე. რა უხერხულ მდგო-მარეობაშიც უნდა მიეწოდებინათ მისთვის პასი, ის ყოველთვის ოსტატურად ეუფლე-ბოდა ბურთს, წებონასმულივით რომ მიეწე-ბებოდა ხოლმე თითებზე, მეორე ხელით კი შეუპოვრად იცილებდა მეტოქებს. შემდეგ უნივერსიტეტის ნა-კრები საგრძნობლად გააძლიერეს ჩოხატაურელმა ლელობურ-თელებმა ჯოტო შენგელიამ და დიმა ცინცაძემ. ეს უკანასკნელი ცნობილი ლელობურთელის, საქართველოს ჩვიდმეტგზის ჩემ-პიონის დიმიტრი ცინცაძის ვაჟი გახლდათ. გუნდის მშვენება იყო აგრეთვე ხონელი ბიჭი არჩილ კიკალიშვილიც. მას სპრინტ-ში ბადალი არ ჰყავდა, ას მეტრს რეკორდულ დროში ფარავდა, ამავე დროს ფეხბურთსაც არანაკლებ თამაშობდა. რაგბიში კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და დღესაც სიამოვნებით ვიგონებთ მის მიერ გატანილ ლელოებს. შემდგომ მან თავისი სპორტული კარიერა „სპარტაკსა“ და „დინამოში“ გააგრძელა.

ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „თსუ“-ს ნაკრებში თამაშისას დავით მუსე-რიძემ. ის ნაკრების თვალსაჩინო კოლორიტი იყო.



თ. რუხაძე

სამოციანი წლების მიწურულს უნივერ-სიტეტის გუნდში მოვიდნენ ვერელი ათლეტები: ბათუ კევლიშვილი, შიო ვასაძე, ტარიელ მაჭა-ვარიანი, მიშა თუშიშვილი და რომანოზ ჩიჩუა. ამ შესანიშნავმა ხუთეულმა თავისებური ეშნი

შესძინა ნაკრების თამაშს. რაც შეეხება ბათუ კევლიშვილს, შემდგომში ის რაგბის სფეროს თვალსაჩინო მოღვაწე გახდა. მან ჩამოაყალიბა „სპარტაკის“ მორაგბეთა გუნდი (დღევანდელი „ლელო“) და საფუძველი ჩაუყარა მორაგბეთა სპეციალიზებულ სკოლას. მიშიკო თუშიშვილმა კი თავისი სპორტული კარიერა მოსკოვში დაასრულა და იქაურ გუნდებში ქვეყნის ჩემპიონობა რამოდენიმეჯერ მოიპოვა. დღეს იგი შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.



მ. კორძაძე

„თსუ“-ს გუნდში თავისი ნათელი კვალი დატოვეს აგრეთვე: ტატო ბერიძემ, გია ფოცხიშვილმა, ირაკლი კალანდარიშვილმა, სერგო კიკნაძემ, ლექსო ბურნაძემ, ბრწყინვალე პირველხაზელმა ცეზარ ქადაგიშვილმა, ასევე განუმეორებელმა ჩამეტმა ვახტანგ ლიჩელმა (დღეს ცნობილი პროფესორი, არქეოლოგის ინსტიტუტის ხელმძღვანელი). გამორჩეული გარემარბი იყო ცოტნე ნაკაშიძე, შემდგომში რეჟისორი და მსახიობი. დღეს იგი სტამბულში მოღვაწეობს და ერთ-ერთი ცნობილი დასის ხელმძღვანელია. გუნდში თავისი თამაშით თავი გამოიჩინა რევაზ კორძაძემაც, გიზო კორძაძის ახლო ნათესავმა. დღეს იგი საბერძნეთში ეწევა ბიზნესს. გამორჩეული ცენტრალური თავდამსხმელი იყო დავით თევზაძე, ცნობილი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, აფხაზეთის ომის გმირი. რაგბის თამაშის თავისებური მანერა ჰქონდათ: რევაზ ბოკერიას, ზურაბ ლოსაბერიძეს (დღეს იგი ცნობილი ბიზნესმენია). ასევე თავისებური კოლორიტი იყო რევაზ კეთილაძეც; სამწუხაროდ, იგი იუბილეს ვერ დაესწრება – ამცოტა ხნის წინ გარდაიცვალა.



გ. ნაკაშიძე



დ. თევზაძე

შესანიშნავი მორაგბეები იყვნენ: ლოგიკოსი ნუგზარ ივანიძე, ალმოსავლეთ-მცოდნე ზეზვა მედულაშვილი, კინომსახიობი ვაჟული ტყაბლაძე, ფიზიკოსი მალხაზ არეშიძე, ფსიქოლოგი შოთა დონაძე, მწერალი ნუგზარ შატაიძე (ან გარდაცვლილი), კუკური (ივანე) ბახტაძე, ცნობილი მსახიობი და კინორეჟისორი, ამჟამად საფრანგეთში მოღვაწე თემურ ბაბლოანი. როგორც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტს არ აკლდა რჩეულები, მაგრამ მაინც გამორჩეულად მოვიხსენიებთ დავით კილასონიას. ფიზიკურად, თითქოს არაფრით გამორჩეული – დათოს ბადალი მთელ საქართველოში კი არა, მთელ საბჭოთა კავშირშიც არ გვეგულება. იგი ევროპაშიც თვალსაჩინო მოთამაშე იყო. ქართველებიდან ერთ-ერთ პირველს, მას მიენიჭა საერთაშორისო სპორტის ოსტატის წოდება. ეს ბიჭი ირაკლი გელოვანმა მოიყვანა რაგბიში 1967 წელს და იქიდან მოყოლებული, კილასონია და რაგბი სინონიმებია. მან საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ერთხელ ევროპის პირველობის ვერცხლიც დაიმსახურა. დათო კილასონიამ თავისი სპორტული კარიერა საქართველოს ცნობილ კოლექტივ „ლოკომოტივში“ გააგრძელა, შემდეგ ამ გუნდის უფროსი მწვრთნელიც იყო; საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელიც გახლდათ. ყველგან, სადაც კი ის მოღვაწეობდა, გამარჯვებები და წარმატებები გარანტირებული იყო.




დ. კილასონია

უნივერსიტეტის ნაკრების შემდეგი ათ-წლეული რამაზ სანებლიძის სახელთანაა დაკავშირებული. ამ ფიზიკურად ძლიერი მორაგბის გვერდით თამაშობდა არანაკლებ ძლიერი დემურ ცხვედიანიც (ბაბაჯანა).

რამაზ სანებლიძე უნივერსიტეტელთა მთავარი მწვრთნელი გახდა და მისი ხელდასხმულები არიან ქართული რაგბის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ: მამუკა ვაზაგაშვილი – საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი; რამაზ ბერაძე, ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული ჩამოყეტი; ვანო ბახტაძე, ერთერთი უსწრაფესი გარემარბი გიორგი კობახიძე, შემდგომში ცნობილი პოლიტიკოსი და

საქართველოს პარლამენტის სპიკერი, ნიკო ონიანი, დიდი ნიკო კეცხოველის შვილიშვილი... კიდევ ბევრი და საუკეთესო მორაგბე აღმოაჩინა რამაზ სანებლიძემ. მისმა გუნდმა 1975 წელს დიდ წარმატებას მიაღწია ჩეხოსლოვაკიაში, პრაღაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში – „პრაღის გაზაფხული“. მაშინ მათ მთავარი პრიზი მოიპოვეს და თბილისში ჩამოიტანეს. სამოციან წლებში არაერთი გამორჩენილი მორაგბე ჰყავდა „თსუ“-ს ნაკრებს. აქ თამაშობდა ცნობილი ბანკირი პეტრე ცაგარეიშვილი, ასევე ცნობილი ჟურნალისტი, რაგბის სტატისტიკოსი და კომენტატორი ზალიკო გიგინეიშვილი – ავტორი ფუნდამენტური გამოკვლევისა „ქართული რაგბის მატიანე“, რომელიც ქართული რაგბის 50 წლის საიუბილეო დღეებში გამოვიდა.

უნივერსიტეტის მორაგბეთა ნაკრებს ყოველთვის გამორჩეული მწვრთნელები ჰყავდა – აკაკი ქუსიკაშვილი, დღეს ცნობილი მენარმე და ბიზნესმენი, სანდრო მელითაური – გამორჩენილი კონსტრუქტორი, ირაკლი ჯალალიშვილი – ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელი, დავით დავითაძა – ლეგენდარული პიროვნება, დავით კილასონია – საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მორაგბე ირაკლი კიზირიასთან ერთად, მერაბ ულენტი –



ი. ნაცვლიშვილი



გ. კობახიძე



ფსიქოლოგი და ენერგეტიკოსი, გამოჩენილი დიაზინერი და მხატვარი იუზა ნაცვლიშვილი, პაატა კოლუაშვილი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და აკადემიკოსი... დღეს მათ დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებენ ახალგაზრდა მორაგბები. უნივერსიტეტის გუნდს ასევე შესანიშნავი კაპიტნები ჰყავდა: გუძა აფაქიძე, ირაკლი ჯალალიშვილი, გივი ხვედელიძე, ბათუ კევლიშვილი, რომელმაც როგორც ითქვა, უნივერსიტეტის საუკეთესო მორაგბებიდან სრულიად ახალი გუნდი „სპარტაკი“ ჩამოაყალიბა (დღევანდელი „ლელო“).

„თსუ“-ს გუნდის უფროსები სხვადასხვა დროს იყვნენ ცნობილი პიროვნებები: დოცენტი გოგი სარაჯიშვილი და პროფესორი ნოდარ ლომოური.

თავისი არსებობის 50 წლის განმავლობაში თბილისის უნივერსიტეტის ნაკრებმა მრავალი ღირსეული გამარჯვება იზიდია. იყო თბილისის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, „ქარიშხალას“ საკავშირო პირველობების მრავალგზის პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონატებში გამარჯვებული, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული... ქართული გუნდებიდან მათ პირველებმა შეასრულეს საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატების ნორმა, ეს მოხდა 1967 წელს. მაშინ „თსუ“-მ კიევში ბრინჯაო მოიპოვა „ქარიშხალას“ საკავშირო პირველობაზე და სწორედ მაშინ დააწესეს მორაგბეებისათვის სპორტული კვალიფიკაციების მინიჭება (იმ წელინადს შეიქმნა საკავშირო რაგბის ფედერაცია). სპორტის ოსტატები გახდნენ მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტები და



რ. სანებლიძე

სამხედრო-საჰაერო აკადემიის მსმენელები (ისინი პირველობის ფინალისტები იყვნენ და I-II ადგილები მაშინ მათ მოიპოვეს, ხოლო ჩვენმა „თსუ“-მ III ადგილისთვის დაამარცხა კიევის „ავიატორი“ და როგორც აღინიშნა, ბრინჯაო მოიპოვა).

დღეს მთელი ქართული რაგბის თემი და სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის მოყვარულნი გულწრფელად ულოცავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორაგბეთა ყველა თაობის წარმომადგენლებს სახელოვან იუბილეს – 50 წლისთავს.

ლალი გვასალია
ფილოსოფიის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
1975-1980 წლებში საქართველოს
რაგბის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.



ლალი გვასალია და საბჭოთა რაგბის „მამები“
ნ. მაქსიმოვი, ვ. რიბისნიაკი და ი. დაინენკო



1961 წ. „გეორგი“



1961 წ. „ოლსანი“



1962 წ. „სასოფლო“ („ესხაი“)



1962 წ. „ოსუ“



1962 წ. „თსუ“ – ისანი. ბურთს იგეპს გ. კორძაძე



1962 წ. „თსუ“



1964 ֆ. „ՇՏԱՐ“



1964 ֆ. „ՇՏԱՐ“



1964. „თსუ“. შეტევაზეა დ. დავითაია



1964 წ. „თსუ“ – განთიადი. ბურთით რ. კორძაია.



1964 წ. „თსუ“ – დინამო. თბილისის თასის ფინალი



1965 წ. „თსუ“



1965. ს. კიკნაძე, რ. კორძაძე,
ი. კალანდარიშვილი,
დ. თაქთაქიშვილი, კ. სამხარაძე



„ცეკვავენ“: ვ. თოფურიძე და
ე. ფირცხალაიშვილი



1965 წ. „თსუ“



„თსუ“ – ოდესა. 1967 წ. კიევი



1967 წ. „თსუ“



„თბილი“. 1967. კიევის რეისი იგვიანებს



1967 წ. კ. სამხარაძე, დ. თაქთაქიშვილი, ი. გელოვანი, ე. ფირცხალაიშვილი



1968. „თსუ“ – ქუთაისი



რ. სანებლიძის „თსუ“



1968 წ. „თსუ“-ს მორაგბეთა ჯგუფი



ცენტრში კაკო ქუსიკაშვილი



მსაჯი ნ. კაჭარავა სიმკაცრით
გამოირჩეოდა

„თსუ“ – დინამო



1969 წ. „თსუ“ – სპარტაკი




1968 წ. „თსუ“ დინამოს სტადიონზე




1968 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა
ულოცავს მორაგბებს რესპუბლიკური თასის აღებას, რომელიც
უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა

“מג”ג. 67



„ՅՈՒՆԻ“ . 68






1968 წ. მარცხნიდან პირველი ს. მელითაური



დ. თაქთაქიშვილი და
ა. კიკალიშვილი



1968 წ. „თსუ“ – კიევი



ბურთით ი. გელოვანი



1968 წ. ც. ქადაგიშვილი, კ. ბილაშვილი, ს. კიკნაძე და გ. ცენტერაძე



1969 წ. „თსუ“ – სპარტაკი



თ. რუხაძე



„ბურძგლა“ – გ. მოდებაძე



1970 წ. „თსუ“ – სპარტაკი



„თსუ“. 1975 წ. „პრაღის გაზაფხულის“ გამარჯვებული. მწვრთნელები
გ. აბაშიძე და რ. სანებლიძე




„თსუ“ 75. პრაღა



1975 წ. „თსუ“ პრაღაში




1981 წ. „თსუ“. საქართველოს ჩემპიონი. მწვრთნელი გ. მოდებაძე
(ბურძგლა)







1964 წ. „თსუ“ . პირველი დოლი გამარჯვება „განთააღთან“



საქართველოს ეროვნული ნაკრები



ქართული რაგბის მომავალი

СОЮЗ ВЕТЕРАНОВ РЕГБИ ГРУЗИИ



ГВАСАЛИЯ ЛАЛИ ИГНАТЬЕВНА

50-летие Регби “ТГУ”

Тираж 200

ბროშურაში გამოყენებულია ალექსანდრე სააკოვის,
სლავა ჭანტურიას და იაგო გურგენიძის ფოტოები

გამომცემლობა
„საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი“
20675295

2012 წელი
თბილისი, ჩოლოევაშვილის გამზირი, 7

კომპიუტერული მომსახურეობა – პაატა ქორქია